სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური“

ფოთის საზღვაო ნავსადგურის გაფორმების ეკონომიკური ზონის ტერიტორიაზე, ავტოსამრეცხაოს ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია

სკრინინგის ანგარიში

შემსრულებელი

შპს „გამა კონსალტინგი“

დირექტორი ზ. მგალობლიშვილი

2022 წელი

GAMMA Consulting Ltd. 19d. Guramishvili av, 0192, Tbilisi, Georgia

Tel: +(995 32) 261 44 34 +(995 32) 260 15 27 E-mail: zmgreen@gamma.ge; j.akhvlediani@gamma.ge

www.facebook.com/gammaconsultingGeorgia

სარჩევი

1 შესავალი ... 3
2 ზოგადი ცნობები ნავსადგურის საქმიანობის შესახებ ... 3
2.1 ნავსადგურის წყალმომარაგება და ჩამდინარე წყლების მართვა ... 5
3 გეზ-ის ტერიტორიაზე არსებული ავტოსამრეცხაოს ამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის აღწერა ... 8
4 საწარმოს მუშაობის რეჟიმი და პერსონალი ... 12
5 ინფორმაცია საქმიანობის განსახორციელებელი ადგილის შესახებ - გარემოს ფონური მდგომარეობა და ზემოქმედების რისკები ... 12
5.1 ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე ... 13
5.2 ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე ... 13
5.3 ნარჩენების წარმოქმნასთან დაკავშირებული ზემოქმედება ... 14
5.4 ზემოქმედება წყლის გარემოზე ... 15
5.5 კუმულაციური ზემოქმედება ... 15
6 გარემოზე შესაძლო ზემოქმედებების შეფასება ... 16
7 მოკლე რეზიუმე ... 19
8 დანართი N1: ავტოსამრეცხაოს გამწმენდი ნაგებობიდან მიღებული გაწმენდილი წყლის ლაბორატორიული კვლევის ოქმი ... 20

1 შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენ, სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური“-ს გაფორმების ეკონომიკური ზონის ტერიტორიაზე (შემდგომში „გეზ“-ი) ავტოსამრეცხაოს ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის სკრინიგნის ანგარიშს.

სს ,,კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური“ მიმდინარე საქმიანობას ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 14 თებერვლის N2-140 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების (ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N24. 20.02.2009 წელი) საფუძველზე.

გაფორმების ეკონომიკური ზონის ტერიტორიაზე ნავსადგურის ადმინისტრაციის მიერ მოწყობილია ავტოსამრეცხაო, რომლის ექსპლუატაციის პროცესში წყლის საათური ხარჯი შეადგენს 0.45 $მ^3$/სთ-ს, ხოლო დანაკარგის გათვალისწინებით ჩამდინარე წყლის ხარჯი შეადგენს 0,4 $მ^3$/სთ-ს. ჩამდინარე წყლების გაწმენდის მიზნით, ავტოსამრეცხაოს ტერიტორიაზე მოწყობილია გამწმენდი ნაგებობა.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-2 დანართის 10.6 პუნქტის მიხედვით ნავსადგურის ტერიტორიაზე გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია წარმოადგენს სკრინინგის პროცედურას დაქვემდებარებულ საქმიანობას.

წინამდებარე სკრინინგის ანგარიში სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური“-ს დაკვეთით, მომზადებულია შპს „გამა კონსალტინგი“-ს მიერ. საქმიანობის განმახორციელებელი და საკონსულტაციო კომპანიების შესახებ, ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 1.1.

ცხრილი 1.1 საკონტაქტო ინფორმაცია

საქმიანობის განმხორციელებელი კომპანია	სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური“
კომპანიის იურიდიული მისამართი	ქ. ფოთი, დავით აღმაშენებელის ქ. №38
კომპანიის ფაქტიური მისამართი	ქ. ფოთი, დავით აღმაშენებელის ქ. №38
საქმიანობის განხორციელების ადგილის მისამართი	ქალაქი ფოთი , ნავსადგურის ყოფილი ექსტენსიური განვითარების ზონა
საქმიანობის სახე	საზღვაო ნავსადგურის ექსპლუატაცია - ავტოსამრეცხაოს ჩამდინარე წყლების გამწმენდი დანადგარის მოწყობა და ექსპლუატაცია
სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური“-ს მონაცემები:	
საიდენტიფიკაციო კოდი	215080999
ელექტრონული ფოსტა	gulnara.kekelidze@apmterminals.com
საკონტაქტო პირი	გულნარა კეკელიძე
საკონტაქტო ტელეფონი	599887862
საკონსულტაციო კომპანია:	შპს „გამა კონსალტინგი”
შპს „გამა კონსალტინგი”-ს დირექტორი	ზ. მგალობლიშვილი
საკონტაქტო ტელეფონი	261 44 34; 2 60 15 27

2 ზოგადი ცნობები ნავსადგურის საქმიანობის შესახებ

ფოთის საზღვაო ნავსადგური უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო კვანძია როგორც საქართველოსათვის, ასევე რეგიონის ქვეყნებისათვის. ნავსადგური დაარსებულია 1858 წელს და წარმოადგენს პირველ და ყველაზე დიდ ნავსადგურს საქართველოში, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს გავლით მოძრავი ტვირთების ძირითადი ნაწილის ოპერირებას. გარდა საქართველოსათვის განკუთვნილი ტვირთებისა, ნავსადგური ემსახურება სომხეთის, აზერბაიჯანის და ცენტრალური აზიის ქვეყნების ტვირთებს. არსებობს ასევე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტვირთების გატარების პერსპექტივა.

ნავსადგური მიმდინარე საქმიანობას ახორციელებს 2019 წლის 14 თებერვლის N2-140 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების საფუძველზე (ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N24. 20.02.2009 წელი).

2011 წლიდან საზღვაო ნავსადგურს ფლობს კომპანია APM Terminals Poti-ი, რომელმაც მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა ნავსადგურის ინფრასტრუქტურის მდგომარეობის გაუმჯობესების და ტვირთბრუნვის ეფექტურობის გაზრდის მიზნით. დღეისათვის ნავსადგური მრავალფუნქციური ტერმინალია, რომელსაც აქვს 15 ნავმისადგომი და ტვირთების გადასატვირთი თანამედროვე აღჭურვილობა. გატარებული ღონისძიებების შედეგად, გაუმჯობესდა ტვირთების ოპერირების პირობები და გარკვეულად შემცირდა გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების და უსაფრთხოების რისკები.

დღეისათვის ნავსადგურის ტერიტორიაზე არსებული ცალკეულ ნავმისადგომებზე მიმდინარეობს შემდეგი სახის ტვირთების ოპერირება:

- N1 ნავმისადგომი - ნავთობპროდუქტების ტერმინალი, ნავთობპროდუქტების მიღება, დასაწყობება და გადატვირთვა;
- N2 ნავმისადგომი - სარკინიგზო-საბორნე ტერმინალი, ნავთობპროდუქტების ტერმინალი - მიღება, დასაწყობება და გადატვირთვა;
- N3 ნავმისადგომი - ნაყარი ტვირთების მიღება, გადატვირთვა;
- N4 ნავმისადგომი - ნაყარი და გენერალური ტვირთები;
- N5 ნავმისადგომი - ნაყარი და გენერალური ტვირთები;
- N6 ნავმისადგომი - არ ფუნქციონირებს (არადამაკმაყოფილებელი ტექნიკური მდგომარეობის გამო;
- N7 ნავმისადგომი - მრავალმიზნობრივი ტერმინალი - საკონტეინერო ტვირთების მომსახურება და სპეციალურ კონტეინერებში დაფასოებული ნაყარი ტვირთების გემებში ჩატვირთვა, ნაყარი ტვირთების ოპერირება.
- N8 ნავმისადგომი - ნაყარი და გენერალური ტვირთები;
- N9 ნავმისადგომი - ნაყარი და გენერალური ტვირთები;
- N10 ნავმისადგომი - ნაყარი და გენერალური ტვირთები;
- N11 ნავმისადგომი- ნავსადგურის მცურავი ერთეულების სადგომი;
- N12 ნავმისადგომი - ნავსადგურის მცურავი ერთეულების სადგომი, სამანქანო (რო- რო) ტერმინალი, შავი ლითონის ჯართის გადასატვირთი ტერმინალი, ნაყარი ტვირთების ოპერირება.
- N13 ნავმისადგომი - მცურავი ერთეულების სადგომი;
- N14 ნავმისადგომი - საკონტეინერო ტერმინალი, ერთეული გენერალური და საპროექტო ტვირთები და სამანქანო ბორნები, ნაყარი ტვირთების ოპერირება.
  N15 ნავმისადგომი - მარცვლეულის ტერმინალი, სადაც ტვირთი გადაიტვირთება ვაკუუმმანქანით, გემი-კონვეიერი-სილოსი, ნაყარი ტვირთების ოპერირება.

ობიექტები აღჭურვილი არიან თანამედროვე ნავმისადგომების ოპერაციათა საწარმოებლად საჭირო დანადგარებითა და კომპლექტაციით. ოპერაციათა შესრულება მიმდინარეობს ცნობილი ტექნოლოგიებით დამტკიცებული წესდების, მუშა პროექტების, ტექნიკურ-ტექნოლოგიური რეგლამენტების და სხვა სათანადო დირექტიული დოკუმენტების შესაბამისად. ნავსადგურის საწარმოო ობიექტებს გააჩნიათ წარმოების პროცესის ოპტიმალურად განხორციელების სათანადო ინფრასტრუქტურა, ნედლეული, დანადგარ-აპარატები და კადრები.
2010 წელს ნავსადგურის ჩრდილოეთით 112 850 $м^2$ მიწის ნაკვეთზე აშენდა და ექსპლუატაციაშია გაფორმების ეკონომიკური ზონა (საკონტეინერო ტერმინალის ტერიტორია). იგი შედგება შემდეგი ძირითადი ზონებისაგან:

- საოპერაციო ზონა;
- გარე პარკინგი (351 ავტომობილზე);
- საბაჟოს შენობის ტექნიკური მომსახურების ზონა;

- ავტომობილების დათვალიერების ადგილი;
- მექანიზაციის ფარეხი;
- სატვირთო ავტომობილების მოსაცდელი და შენობის გარე ტერიტორია;
- საწყობები და საოფისე შენობა;
- საკონტროლო გამშვები პუნქტი.

ტერიტორიაზე განთავსებული წყლის ორი რეზერვუარი: სახანძრო წყალმომარაგებისათვის - 216 $м^3$ და სასმელი წყლის რეზერვუარი - 33 $м^3$ ტევადობით. ტერმინალის საწარმოო უბნები გადახურულია ლითონის კონსტრუქციული ფერმებით.

ნავსადგურის ტერიტორიის სიტუაციური სქემა სურათზე 2.1.

2.1 ნავსადგურის წყალმომარაგება და ჩამდინარე წყლების მართვა

საზღვაო ნავსადგურში წყლის გამოყენება ხდება როგორც სასმელ-სამეურნეო, ასევე ტექნიკური მიზნებისათვის. ობიექტის წყალმომარაგება ხორციელდება გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ფოთის სერვისცენტრის მიერ, სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე. წყალაღრიცხვა ხდება ქსელში დამონტაჟებული წყალაღრიცხვის კვანძების საშუალებით.

სასმელ-სამეურნეო წყალი მიეწოდება როგორც ნავსადგურის მომსახურე პერსონალის სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის, ასევე შემოსული მცურავი საშუალებების სასმელი წყლის მარაგების შესავსებად.

სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის ნავსადგურის მიერ წლის განმავლობაში აღებულია 16 000 $м^3$-მდე წყალი. წყალაღების მაჩვენებელი არ არის წინასწარ დადგენილი, მისი მოცულობა იცვლება მოთხოვნილების შესაბამისად.

ტექნიკური მიზნით წყალი გამოიყენება სახანძრო-უსაფრთხოების მიზნებისათვის, რეზერვუარების რეცხვისათვის, საწარმოო დანიშნულების ობიექტების დასუფთავებისათვის, მილსადენების და დანადგარების ჰიდრავლიკური გამოცდისათვის, ტუმბოების საკისრების გასაცივებლად, რეზერვუარების გაგრილების სისტემაში, ავტოსამრეცხაოში და სხვა ტექნიკური მიზნებისათვის.

საზღვაო ნავსადგურში წარმოიქმნება სამეურნეო-საყოფაცხოვრებო, საწარმოო და სანიაღვრე ჩამდინარე წყლები, ასევე მცურავი საშუალებებიდან მიღებული ლიალური წყლები.

ფოთის საზღვაო ნავსადგურის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები, გარდა გეზის ტერიტორიის ჩამდინარე წყლებისა, იკრიბება ტერიტორიაზე არსებული საკანალიზაციო სისტემით და ჩაედინება გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ფოთის სერვისცენტრის კანალიზაციის კოლექტორში.

გეზ-ის სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები ცალკე საკანალიზაციო მილით მიეწოდება ბიოლოგიურ გამწმენდ ნაგებობას (BioCAS®). ნაგებობიდან გამოსული წყალი ჩაედინება ადგილის რელიეფზე. გამწმენდი ნაგებობის განთავსებისა და წყლის ჩადინების ტერიტორია „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ საკუთრებაშია. ტერიტორია სხვა მიზნით არ გამოიყენება, დაფარულია ბუჩქნარებით და ეკალ-ბარდებით.

ნავსადგურში შემოსული მცურავი საშუალებებიდან მიღებული სამეურნეო-ფეკალური წყლების ჩაშვება ხდება ფოთის საკანალიზაციო კოლექტორში, სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე. ხოლო ლიალური წყლების განთავსება ხდება ნავსადგურის კუთვნილ მცურავ ერთეულში, საიდანაც ნარჩენი გადაეცემა სათანადო ნებართვის მქონე კონტრაქტორს.

ნავსადგურში სხვადასხვა საწარმოო მიზნით გამოყენებული ჩამდინარე წყლები, ასეთის წარმოქმნის შემთხვევაში, ჩაედინება საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების კოლექტორში.

საზღვაო ნავსადგურიდან ზღვაში ჩაედინება მხოლოდ ნავმისადგომების ტერიტორიის სანიაღვრე და ტერიტორიის მონარეცხი წყალი. ნავმისადგომებზე მოწყობილია სანიაღვრე არხები და სატუმბი სადგურები, რომლითაც შეკრებილი ზედაპირის მონარეცხი ან სანიაღვრე წყალი მიეწოდება სანიაღვრე წყლების გამწმენდ ნაგებობებს, ხოლო გაწმენდილი წყლის ჩაშვება ხდება ნავსადგურის შიდა აკვატორიაში 4 წერტილში.

სურათი 2.1. ფოთის საზღვაო ნავსადგურის განთავსების ტერიტორიის სიტუაციური სქემა

3 გეზ-ის ტერიტორიაზე არსებული ავტოსამრეცხაოს ამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის აღწერა

ავტოსამრეცხაო მოწყობილია სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ გაფორმების ეკონომიკური ზონის ავტოსადგომების ტერიტორიაზე (მიწის ნაკვეთის ს/კ 04.01.01.583). სამრტეცხაოს განთავსების ადგილის გეოგრაფიული კოორდინარტებია X = 719122.68, Y = 4671437.09. ავტოსამრეცხაოდან უახლოესი საცხოვრებელი ზონა მდებარეობს 610 მ-ის დაშორებით.

ავტოსამრეცხაოს განთავსების ტერიტორია სწორი ზედაპირისაა და სრულად დაფარულია ბეტონის საფარით. სამრეცხაოს წყალმომარაგებისათვის გამოყენებულია ქ. ფოთის წყალსადენის წყალი. გამოყენებული წყლის საათური ხარჯი შეადგენს 0.45 $მ^3$/სთ-ს, ხოლო დანაკარგის (გამოყენებული წყლის 10-12%) გათვალისწინებით ჩამდინარე წყლის რაოდენობა შეაგდენს 0.4 $მ^3$/სთ-ს, რაც წლის განმავლობაში შეადგენს 1200 $მ^3$/წელს.

ავტოსამრეცხაოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების შეკრება ხდება ბეტონის არხებში, რომელიც დახურულია ლითონის ცხაურებით, საიდანაც წყალი გროვდება მიწისქვეშა რეზერვუარში და შემდგომ დაგროვების შესაბამისად გადაიტუმბება გამწმენდ ნაგებობაში. გამწმენდი ნაგებობიდან გაწმენდილი წყლის ჩაშვება ხდება ბეტონით მოპირკეთებულ სპეციალურ ჭაში, რომელიც გადახურულია ფოლადის ცხაურით ბადით. აღნიშნული ჭიდან გაწმენდილი წყალი ჩაედინება სამრეცხაოს მიმდებარედ არსებულ საწრეტ არხში, რომელიც უერთდება ბუნებრივი ტბორის საწრეტ არხს და შემდეგ ჩაედინება ზღვაში.

ავტოსამრეცხაოს და გამწმენდი ნაგებობის განთავსების ტერიტორიის სუტუაციური სქემა მოცემულია სურათზე 3.1. წყალჩაშვების სქემა კოორდინატების დატანით სურსათზე 3.2., ხოლო ავტოსამრეცხაოს ტერიტორიის ხედები სურათზე 3.3.

ავტოსამრეცხაოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ჩამიდნარე წყლების დაბინძურება მოსალოდნელია შეწონილი ნაწილაკებით და ნავთობპროდუქტებით. შესაბამისად მოწყობილია გამწმენდი ნაგებობა (კომპაქტური სეპარატორი (ნავთობდამჭრი), რომელიც უზრუნველყოფს როგორც ნავთობის ნახშირწყალბადებისაგან, ასევე შეწონილი ნაწილაკებისაგან გაწმენდას.

ავტოსამრეცხაოს ჩამიდნარე წყლების გაწმენდისათვის დამომტაჟებულია ესტონური წამოების გამწმენდი ნაგებობა, რომლის წარმადობა ტექნიკური პასპორტის მიხედვით შეადგენს 0.5 $მ^3$/წმ (1.8 $მ^3$/სთ), რაც სრულიად საკმარისია ავტოსამრეცხოას ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი (0.4 $მ^3$/სთ) ჩამდინარე წყლების გაწმენდისათვის. ნაგებობის მუშაოების პრინციპი შემდეგია:

- პირველ ეტაპზე ჩამდინარე წყლები მიეწოდება ქვიშის დამჭერს, სადაც მიმდინარეობს მსხილი ფრაქციის შეწონილი ნაწილაკების მოცილება;
- ქვიშის დამჭერის შემდეგ წყალი მიეწოდება ნავთობპროდუქტების დამჭერ განყოფილებაში, სადაც ნავთობპროდუქტების გამოყოფა ხდება ზედაპირზე თხელი აპკის სახით. ნავთობპროდუქტების გამყოფი დანადგარი აღჭურვილია მოწყობილობით, რომელიც ინტერმოლეკულური მოზიდვის ძალების მოქმედებით უზრუნველყოფს ნავთობპროდუქტების წვეთების გადიდებას და მათი ზედაპირზე ამოსვლის დაჩქარებას, რაც განაპირობებს წმენდის ეფექტურობის ამაღლებას;
- ნავთობპროდუქტების მოშორების შემდეგ ჩამდინარე წყალი მიეწოდება საფილტრავ განყოფილებას, რომელშიც იწმინდება შეწონილი ნაწილაკებისაგან;
- ჩამდინარე წყლების ღრმა წმენდის მიზნით წყალი გადადის სორბციულ განყოფილებაში, სადაც განთავსებულია სორბენტის შემცველი ფილტრი, რომლ;ის მოცულობა შეადგენს 1 $მ^3$-ს.

გამწმენდი ნაგებობა წარმოადგენს ერთ მთლიან ბლოკს, სამი განყოფილებისაგან, რომელიც მუშაობს ავტომატური რეჟიმით. დაჭერილი ნავთობპროდუქტები ავტომატურად გადადის

შემკრებში, საიდანაც დაგროვების შესაბამისად ხდება სპეციალურ ჰერმეტულად დახურულ კასრებში და შემდგომი მართვის მიზნით ინახება სახიფათო ნარჩენების საცავში.

შეწონილი ნაწილაკები იკრიბება სალექარის ძირზე, საიდანაც შლამის ამოღება ხდება ასინიზაციის მანქანით.

ნაგებობის ფილტრების რეგენერაცია ხდება წყლის ნაკადით ჩარეცხვით. ნაგებობის ტექნიკური მომსახურება მწარმოებლის რეკომენდაციით უნდა ჩატარდეს 6 თვეში ერთჯერ. რაც შეეხება ადსორბენტებს, მათი ექსპლუატაციის ხანგრძლივობა შეადგენს 3 დან 7 წელს და დამოკიდებულია ჩამდინარე წყლის დაბინძურების ხარისხზე.

გამემენდი ნაგებობის მწარმოებელი კომპანიის ტექნიკური დოკუმენტაციის მიხედვით, გაწმედილ წყალში დამაბინძურებელ ნივთიერებათა კონცენტრაციები შეადგენს:

- შეწონილი ნაწილაკების შემცველობა 60 მგ/ლ-ს;
- ნავთობის ჯამური ნახშირწყალბადების (TPH) შემცველობა 5.0 მგ/ლ-ს.

გაწმენდილი წყლის სინჯის ლაბორატორიული კვლევის შედეგების მიხედვით, შეწონილი ნაწილაკების შემცველობა შეადგენს 30 მგ/ლ-ს, ხოლო ნავთობის ნახშირწყალბადების შემცველობა 0.6 მგ/ლ-ს.

სურათი 3.1 ავტოსამრეცხაოს განთავსების ტერიტორიის სიტუაციური სქემა

სურათი 3.2. წყლის ჩაშვების წერტილები

სურათი 3.3 ტერიტორიის ზოგადი ხედები

4 საწარმოს მუშაობის რეჟიმი და პერსონალი

სამრეცხაო და შესაბამისად გამწმენდი ნაგებობა მუშაობს წელიწადში 300 დღე, ერთცვლიანი სამუშაო რეჟიმით. დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 2 ადამიანი. სამრეცხაოში დასაქმებულია მხოლოდ ადგილობრივი პერსონალი.

5 ინფორმაცია საქმიანობის განსახორციელებელი ადგილის შესახებ - გარემოს ფონური მდგომარეობა და ზემოქმედების რისკები

როგორც წინამდებარე ანგარიშშია მოცემული, ავტოსამრეცხაო მოწყობილია ფოთის საზღვაო მავსადგურის გაფორმების ეკონომიკური ზონის (გეზ) ტერიტორიაზე, რომელიც მოქცეულია მნიშვნელოვანი ანთროპოგენური დატვირთვის ქვეშ, კერძოდ: ავტოსამრეცხაო და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა მდებარეობს გეზ-ის ავტოსადგომის ტერიტორიაზე. ტერიტორიის ზედაპირი დაფარულია ბეტონის საფარით. სამრერცხაო და გამწმენდი ნაგებობა მოწყობილია გეზ-ის ტერიტორიის განაშენიანების შემდეგ და შესაბამისად მათი მოწყობა მცენარეული საფარის განადგურებასთან და ცხოველთა საბინადრო ადგილების დაკარგვასთან დაკავშირებული არ ყოფილა. დღეისათვის ტერიტორია შემოსაზღვრულია და მასზე ცხოველთა ველური ბუნების სახეობების მოხვედრა შეუძლებელია.

საქმიანობის სპეციფიკის და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით გარემოზე ზემოქმედეების რისკები შეიძლება შეფასდეს როგორც მინიმალური, ხოლო ჩამდინარე წყლების გამწმენდი დანადგარის მოწყობა გარემოსდაცვითი ღონისძიებაა და გამორიცხავს საწრეტი არხების და ზღვის წყლის ხარისხზე ნეგატიურ ზემოქმედებას.

ქვემოთ მოცემულია გარემოზე ზემოქმედების სახეებ, ირომლებსაც ადგილი არ აქვს ავტოსამრეცხაოს ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის პროცესში და ამოღებულია წინამდებარე ანგარიშში განხილვიდან.

ცხრილი 5.1 განხილვიდან ამოღებული ზემოქმედების სახელები და ამოღების საფუძვლები

ზემოქმედების სახე	განხილვიდან ამოღბის საფუძველი
მიწის საკუთრება და გამოყენება	ავტოსამრეცხაოსა და გამწმენდი ნაგებობისათვის გამოყენებული ტერიტორია წარმოადგენს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას, რომელიც არის სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური“-ს მფლობელობაში. შესაბამისად, მიწის საკუთრებასა და გამოყენების პირობებზე ზემოქმედებას ადგილი არ აქვს.
ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე	ავტოსამრეცხაო და გამწმენდი ნაგებობა განთავსებულია საზღვაო ნავსადგურის გეზ-ის ტერიტორიაზე, რომლის ზედაპირი დაფარულია ბეტონის საფარით და შესაბამისად ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედებას ადგილი არ აქვს.
ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება	საქმიანობის სპეციფიკის და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების რისკი არ არსებობს.
ზემოქმედება ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე	ავტოსამრეცხაო და გამწმენდი ნაგებობა მოწყობილია უკვე არსებულ მაღალი ანთროპოგენური დატვირთვის მობეტონებულ ტერიტორიაზე, სადაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების არსებობის ალბათობა მინიმალურია. ამასთანავე საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ექსპლუატაციის პროცესში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ზემოქმედების რისკი პრაქტიკულად არ არსებობს.

ზემოქმედება ადამიანების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე	აღნიშნული საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ზემოქმედების რისკი მინიმალურია.
ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება	გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის პროცესში ხმაურის გავრცელება ხდება მცირე წარმადობის ტუმბოს მუშაობის დროს რომელიც განთავსებულია ჩამდინარე წყლების შემკრებ რეზერვუარში, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ხმაურის გავრცელების დონეებს. გარდა აღნიშნულისა ხმაურის გავრცელებას ადგილი აქვს სარეცხი აპარატიდან (ე.წ. „კერხერი“) წყლის წნევით გაშხეფების პროცესში. აღსანიშნავია, რომ როგორც გამწმენდი ნაგებობის ტუმბოს, ასევე სარეცხი აპარატის მუშაოების დროს წამოქმნილი ხმაურის დონეები ძალზე დაბალია და უახლოესი საცხოვრებელი ზონის საზღვრიდან მნიშვნელოვანი მანძილებით (≈610 მ) დაცილებიდან გამომდინარე ხმაურის გავრცელებასთან დაკავშირებული ზემოქმედება პრაქტიკულად არ არსებობს.
ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე	ექსპლუატაციის ფაზაზე ავტოსამრეცხაოს და გამწმენდი დანადგარის ფუქნქციონირება ატმოსფერულ ემისიებთან დაკავშირებული არ იქნება, კერძოდ: ნავთოდამჭერში გამოყოფილი ნავთოპროდუქტების შეგროვება მოხდება დახურულ ავზში და დაგროვილი ნარჩენის მცირე რაოდენობიდან გამომდინარე, ატმოსფერულ ჰაერში ნავთობის ნახშირწყალბადების გავრცელების რისკი უმნიშვნელოა.

5.1 ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე

როგორც აღინიშნა, ავტოსამრეცხაო და გამწმენდი ნაგებობა განთავსებულია სწორი რელიეფის მქონე ტერიტორიაზე, სადაც საშიში გეოდინამიკური პროცესების თვალსაზრისით რისკის მქონე უბნები პრაქტიკულად არ არსებობს.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების რისკი პრაქტიკულად არ არსებობს.

5.2 ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე

როგორც აღინიშნა ავტოსამრეცხაო და გამწმენდი ნაგებობა მოწყობილია გეზ-ის მაღალი ანთროპოგენური დატვირთვის მქონე ტერიტორიაზე, შესაბამისად მათი მოწყობა და ექსპლუატაცია ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების რისკებთან დაკავშირებული არ არის, კერძოდ: ნაგებობის განთავსების ტერიტორიაზე მცენარეული საფარი არ არსებობს. გეზ-ის ტერიტორია შემოღობილი და დაცულია, შესაბამისად ცხოველთა ველური ბუნებრის სახეობების მოქვედრა პრაქტიკულად გამორიცხულია.

სამრერცხაოს და გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის პროცესში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესები ხმელეთის ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედეებისათან დაკავშირებული არ არის.

როგორც წინამდებარე ანგარიშშია მოცემული, გამწმენდი ნაგებობის ტექნიკური პასპორტის მიხედვით გაწმენდილ წყალში ნავთობის ნახშირწყალბადების შემცველობა იქნება არაუმეტეს 5 მგ/ლ, ხოლო შეწონილი ნაწილაკების შემცველობა არაუმეტეს 60 მგ/ლ, ხოლო ლაბორატორიული კვლევის შედეგების მიხედვით (ლაბორატორიული კვლევის ოქმი თან ერთვის), შეწონილი ნაწილაკების შემცველობა შეადგენს 15 მგ/ლ-ს, ხოლო ნავთობის ნახშირწყალბადების შემცველობა 0.05 მგ/ლ-ს.

თუ გავითალისწინებთ, რომ გაწმენდილი წყლის ჩაშვება ხდება საზღვაო აკვატორიაში, სადაც მაღალია განზავების ალბათობა, ზღვის წყლის ხარისხზე და შესაბამისად წყლის ბიოლოგიური გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების რისკი პრაქტიკულად არ არსებობს.

საქმიანობის სპეციფიკის და გამწმენდი ნაგებობის განთავსების ადგილიდან უახლოესი დაცული ტერიტორიების (კოლხეთის ეროვნული პარკის ნაბადას და იმნათის უბნები, რომელთა საზღვრებში მდებარეობს ზურმუხტის ქსელის მიღებული უბანი „კოლხეთი“ GE0000006) დაცილების მინიმალურიმანძილის (4100 მ) გათვალისწინებით, დაცული ტერიტორიების ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების რისკები პრაქტიკულად არ არსებობს.

სურათი 5.2.1. ავტოსამრეცხაოს და გამწმენდი ნაგებობის დაცილება უახლოესი დაცული ტერიტორიების საზღვრებიდან

5.3 ნარჩენების წარმოქმნასთან დაკავშირებული ზემოქმედება

ავტოსამრეცხაოს ექსპლუატაციის პროცესში საწარმოო ნარჩენების წარმოქმნას ადგილი არ აქვს, ხოლო წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა ხდება ნავსადგურის ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად.

რაც შეეხება გამწმენდი დანადგარის ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილ ნარჩენებს აღსანიშნავია გაწმენდის პროცესში წარმოქმნილი ლამი და ნავთობპროდუქტების ნარჩენები. ნავთობპროდუქტების ნარჩენების ამოღება ხდება დაგროვების შესაბამისად, თავსდება სპეციალურ დახურულ კარებში და შესაბამისი მარკირებით ინახება ნავსადგურის სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსების სათავსოში, საიდანაც ნარჩენების მართვის გეგმის მიხედვით, შემდგომი მართვისათვის გადაეცემა ამ საქმიანობაზე ნებართვის მქონე კონტრაქტორს. გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ნავთობპროდუქტების ნარჩენების მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 120-140 კგ წელიწადში.

გამწმენდ ნაგებობაში ჩამდინარე წყლის შეწონილი ნაწილაკებისაგან გაწმენდის პროცესში წარმოქმნილი ლამის ამოღება ხდება დაგროვების შესაბამისად, მაგრამ არაუგვიანეს 6 თვეში ერთხელ. ამოღებული ლამის მართვა ხორციელდება ნარჩენების მართვის გეგმით განსაზღვრული პირობების მიხედვით (ანალოგიურად როგორც ეს ხდება ნავსადგურის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე წყლების გამწმენდი ნაგებობების შემთხვევაში), კერძოდ: დასაწყობდება სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსებისათვის განკუთვნილ სათავსოში და

შემდგომი მართვისათვის გადაეცემა შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მქონე კომპანიას.

5.4 ზემოქმედება წყლის გარემოზე

ავტოსამრეცხაოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვებასთან დაკავშირებით, წყლის ხარისხზე ზემოქმედების რისკების მინიმუმამდე შემცირების მიზნით, მოწყობილია გამწმენდი ნაგებობა, რომლის ტექნიკური დოკუმენტაციის მიხედვით, გაწმენდის ეფექტურობა შეადგენს 98%-ს. გაწმენდილ წყალში ნავთობის ნახშირწყალბადების შემცველობა არ იქნება 5.0 მგ/ლ-ზე მაღალი, ხოლო შეწონილი ნაწილაკების შემცველობა 60 მგ/ლ-ზე მაღლი.

გამწმენდი ნაგებობიდან მიღებული გაწმენდილი წყლის ჩაშვება ხდება თავდაპირველად საწრეტ არხში (სიგრძე დაახლოებით 400 მ) და შემდეგ ზღვაში. თუ გავითვალისწინებთ, რომ ღია ზღვაში ჩამდინარე წყლების ჩაშვებასთან დაკავშირებით მაღალია მავნე ნივთიერებათა განზავების შესაძლებლობა, ზღვის წყლის ხარისხზე ზემოქმედების რისკი იქნება მინიმალური.

მიუხედავად იმისა, რომ სამრეცხაოს და გამწმენდი ნაგებობის ტერიტორია გამოირჩევა მიწისქვეშა წყლების დგომის მაღალი დონით, გრუნტის წყლებზე ზემოქმედების რისკი მინიმალურია, კერძოდ: ავტოსამრეცხაოს და მისი მიმდებარე ტერიტორიები სრულად არის დაფარული ბეტონის საფარით, ხოლო ნარეცხი წყლების შესაგროვებლად მოწყობილია ბეტონის არხები და ბეტონის რეზერვუარი. მიწის არხში ჩაედინება მხოლოდ გაწმენდილი წყალი. აღნიშნულის გათვალისწინებით გრუნტის და გრუნტის წყლების დაბინძურების რისკი მინიმალურია.

სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შესათანხმებლად წარდგენილი იქნება, ჩამდინარე წყლებთან ერთად ზედაპირულ წყლებში ჩაშვებულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების პროექტი.

5.5 კუმულაციური ზემოქმედება

ავტოსამრეცხაო და მისი ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა მოწყობილია გეზ-ის ტერიტორიის მაღალი ანთროპოგენური დატვირთვის მქონე უბანზე და საქმიანობისათვის ახალი ტერიტორიების ათვისებას ადგილი არ ქონია.

გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის ეტაპზე ზემოქმედების რისკებიდან შეიძლება განვიხილოთ, წყლის ხარისხზე და წყლის ბიოლოგიურ გარემოზე კუმულაციური ზემოქმედების რისკები. მაგრამ ერთის მხრივ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ავტოსამრეცხაოს ჩამდინარე წყლების ჩაშვება ხდება გაწმენდის შემდეგ, ხოლო მეორეს მხრივ ნაბადას მიმდებარე საზღვაო აკვატორიაში ჩამდინარე წყლების ჩაშვებას, გარდა ავტოსამრეცხაოს გამწმენდი ნაგებობისა ადგილი აქვს მხოლოდ ერთ წერილში, გეზ-ის ტერიტორიაზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო-სამეურნეო წყლების ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობიდან. ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მაღალი ეფექტურობის გათვალისწინებით, ის უზრუნველყოფს ჩამდინარე წყლების ნორმირებულ გაწმენდას.

ავტოსამრეცხაოს გამწმენდი ნაგებობიდან და გეზ-ის ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობიდან გაწმენდილი წყლების ჩაშვების წერტილების შორის დაცილების მანძილი დაახლოებით შეადგენს 450 მ-ს. გარდა აღნიშნულისა ჩამდინარე წყლების ჩაშვება ხდება საზღვაო აკვატორიაში და შესაბამისად მაღალია ჩამდინარე წყლების განზავების ხარისხი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ზღვის წყლის ხარისხზე და წყლის ბიოლოგიურ გარემოზე კუმულაციური ზემოქმედების რისკი შეიძლება ჩაითვალოს უმნიშვნელოდ.

6 გარემოზე შესაძლო ზემოქმედებების შეფასება

ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება შესრულებულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის, მე-6 პუნქტში მოცემული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით მოცემულია ცხრილში 6.1.

ცხრილი 6.1

	საქმიანობის მახასიათებლები:	გარემოზე ზემოქმედების რისკის არსებობა		მოკლე რეზიუმე
		დიახ	არა	
1.	საქმიანობის მასშტაბი			
1.1	არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება		+	გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის ეტაპზე ზემოქმედების რისკებიდან შეიძლება განვიხილოთ, წყლის ხარისხზე და წყლის ბიოლოგიურ გარემოზე კუმულაციური ზემოქმედების რისკები. ავტოსამრეცხაოს გამწმენდი ნაგებობიდან და გეზ-ის ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობიდან გაწმენდილი წყლების ჩაშვების წერტილების შორის დაცილების მანძილი დაახლოებით შეადგენს 450 მ-ს. გარდა აღნიშნულისა ჩამდინარე წყლების ჩაშვება ხდება საზღვაო აკვატორიაში და შესაბამისად მაღალია ჩამდინარე წყლების განზავების ხარისხი. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, კუმულაციური ზემოქმედების რისკი შეიძლება ჩაითვალოს უმნიშვნელოდ.
1.2.	ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით - წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება		+	ავტოსამრეცხაო და მისი ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა განთავსებულია გეზ-ის ტერიტორიაზე და შესაბამისად საქმიანობის გახორციელებისათვის ახალი ტერიტორიების ათვისებას ადგილი არ აქვს. მაღალი ანთროპოგენური დატვირთვიდან გამომდინარე, ტერიტორიაზე მცენარეული საფარი ან ცხოველთა საბინადრო ადგილები წარმოდგენილი არ არის და შესაბამისად ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების რისკი მინიმალურია. უახლოესი დაცული ტერიტორიების საზღვრიდან დაცილების მინიმალური მანძილი დაახლოებით შეადგენს 4 100 მ-ს და შესაბამისად დაცული ტერიტორიების ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების რისკი მინიმალურია. ავტოსამრეცხაოს ფუნქციონირებისათვის გამოყენებულია ქ. ფოთის წყალსადენის წყალი და შესაბამისად წყლის აღება ზედაპირული წყლის ობიექტებიდან არ ხდება. გამოყენებული წყლის საათობრივი ხარჯი შეადგენს 0.45 $მ^3$/სთ-ს, რაც წლის განმავლობაში შეადგენს დაახლოებით 1350 $მ^3$/წელს.
1.3.	ნარჩენების წარმოქმნა		+	გამწმენდი დანადგარის ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილ ნარჩენებს აღსანიშნავია

				გაწმენდის პროცესში წარმოქმნილი ლამი და ნავთობპროდუქტების ნარჩენები. ნავთობპროდუქტების ნარჩენების ამოღება ხდება დაგროვების შესაბამისად, განთავსდება სპეციალურ კასრებში და შესაბამისი მარკირებით ინახება ნავსადგურის სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსების სათავსოში, საიდანაც ნარჩენების მართვის გეგმის მიხედვით, შემდგომი მართვისათვის გადაეცემა ამ საქმიანობაზე ნებართვის მქონე კონტრაქტორს. გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ნავთობპროდუქტების ნარჩენების მაქსიმალური რაოდენობა შეიძლება იყოს დაახლოებით 120-140 კგ წელიწადში. გამწმენდ ნაგებობაში ჩამდინარე წყლის შეწონილი ნაწილაკებისაგან გაწმენდის პროცესში წარმოქმნილი ლამის ამოღება ხდება დაგროვების შესაბამისად. ამოღებული ლამის მართვა ხდება ნავსადგურის ნარჩენების მართვის გეგმით განსაზღვრული პირობების მიხედვით როგორც სახიფათო ნარჩენი და შემდგომი მართისათვის გადაეცემა ამ საქმიანობაზე შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მქონე კომპანიას.
1.4.	**გარემოს დაბინძურება და ხმაური**		+	ავტოსამრეცხაოს ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა გარემოსდაცვითი ღონისძიებაა, რაც მინიმუმამდე ამცირებს წყლის გარემოს შეწონილი ნაწილაკებით და ნავთობის ნახშირწყალბადებით დაბინძურების რისკებს. გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაცია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების მნიშნელოვან ემისიებთან დაკავშირებული არ არის, კერძოდ: ჩამდინარე წყლების გაწმენდის პროცესში წარმოქმნილი მცირე რაოდენობის ნავთობპროდუქტების ნარჩენებიდან ნავთობის ნახშირწყალბადების გავრცელების რისკი უმნიშვნელოა. გამწმენდი ნაგებობის და სამრეცხაოს ექსპლუატაციის პროცესში ხმაურის გავრცელებას ადგილი აქვს წყლის ტუმბოს და სარეცხო დანადგარის მუშაობის დროს, მაგრამ წარმოქმნილი ხმაურის დაბალი დონეების და უახლოესი საცხოვრებელი ზონებიდან დაცილების დიდი მანძილიდან (610 მ) გამომდინარე ზემოქმედების რისკი პრაქტიკულად არ არსებობს.
1.5.	**საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი**		+	მოსალოდნელი არ არის.
2. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა				
2.1.	**ჭარბტენიან ტერიტორიასთან**		+	ქ. ფოთის და მათ შორის გეზ-ის მიმდებარე ტერიტორიებზე მრავლადაა წარმოდგენილი

				ჭარბტენიანია ტერიტორიები, მათ შორის: კოლხეთის ეროვნული პარკის და რამსარის საიტის ტერიტორიები. უშუალოდ ავტოსამრეცხაოს ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა უახლოესი ჭარბტენიანი ტერიტორიებიდან დაცილებულია 4 კმ-ზე მეტი მანძილით. გამწმენდ ნაგებობაში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესების და ჭარბტენიანი ტერიტორიებიდან დაცილების მანძილების გათვალისწინებით, ზემოქმედების რისკი პრაქტიკულად არ არსებობს.
2.2.	**შავი ზღვის სანაპირო ზოლთან**		+	ავტოსამრეცხაოს ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის განთავსების ტერიტორია შავი ზღვის სანაპირო ზოლიდან დაცილებულია დაახლოებით 300 მ-ით. ჩამდინარე წყალი, გაწმენდის შემდეგ, ზღვაში ჩაედინება საწრეტი არხის საშუალებით. საზღვაო აკვატორიაში ჩამდინარე წყლების განზავების მაღალი ალბათობიდან გამომდინარე, ზღვის წყლის დაბინძურების რისკი უმნიშვნელოა.
2.3.	**ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები**		+	გამწმენდი ნაგებობის განთავსების ტერიტორიაზე მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის და შესაბამისად საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილ სახეობებზე ზემოქმედების რისკი პრაქტიკულად არ არსებობს. უახლოესი ტყით დაფარული ტერიტორიებიდან დაცილების მანძილი აღემატება 4 კმ-ს.
2.4.	**დაცულ ტერიტორიებთან**		+	გამწმენდი ნაგებობის განთავსების ადგილიდან უახლოესი დაცული ტერიტორიები (კოლხეთის ეროვნული პარკი, ზურმუხტის ქსელის მიღებული უბანი „კოლხეთი“ და რამსარის საიტი) დაცილებულია დაახლოებით 4 100 მ-ით, რაც გამორიცხავს დაცული ტერიტორიების ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების ალბათობას.
2.5.	**მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიასთან**		+	უახლოესი საცხოვრებელი ზონიდან დაცილების მანძილი შეადგენს დაახლოებით 610 მ-ს. დაცილების მანძილის და გამწმენდი ნაგებობის ფუნქციონირების ტექნოლოგიური პროცესების (ატმოსფერული ემისიების და ხმაურის გავრცელების რისკები უმნიშვნელოა) გათვალისწინებით, მოსახლეობაზე ზემოქმედების რისკი პრაქტიკულად არ არსებობს.
2.6.	**კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან და სხვა ობიექტთან**		+	საქმიანობა ხორციელდება საზღვაო ნავსადგურის გეზ-ის მაღალი ანთროპოგენური დატვირთვის მქონე ტერიტორიაზე, სადაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები წარმოდგენილი არ არის. ამასთან საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ზემოქმედების რისკები პრაქტიკულად არ არსებობს.

საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათი				
3.1.	**ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი**		+	დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის და განხორციელების ტერიტორიის ადგილმდებარეობის მიხედვით, ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.
3.2.	**ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა**		+	ავტოსამრეცხაოს ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის შედეგად, მინიმუმამდე მცირდება ზღვის წყლის ხარისხზე და ბიოლოგიურ გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების რისკები. შესაბამისად ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია მნიშვნელოვან გარემოსდაცვით ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს.

7 მოკლე რეზიუმე

როგორც წინამდებარე ანგარიშშია მოცემული, სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური“-ს გაფორმების ეკონომიკური ზონის ტერიტოპრიაზე მოწყობილია ავტოსამრეცხაო და ავტოსამრეცხაოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ჩამიდნარე წყლების გამწმენდი ნაგებობა. ავტოდსამრეცხაოს ფუნქციონირებისათვის საჭირო წყლის რაოდენობა შეადგენს 0.45 მ^3/სთ-ს (1350 მ^3/წელ), ხოლო რეცხვის პროცესში მოსალოდნელი დანაკარგის გათვალისწინებით, წარმოქმნილი ჩამდინარე წყლის რაოდენობაა 0.4 მ^3/სთ (დაახლოებით 1200 მ^3/წელ).

გამწმენდი ნაგებობის ტექნიკური დოკუმენტაციის მიხედვით, გაწმდილ წყალში ნავთობის ნახშირწყალბადების შემცველობა არ იქნება 5.0 მგ/ლ-ზე, ხოლო შეწონილი ნაწილაკების შემცველობა 60 მგ/ლ-ზე მაღალი.

როგორც წინამდებარე ანგარიშშია მოცმული, გამწმედნი ნაგებობის ექსპლუატაციის პროცესში, მისი ადგილმდებარეობისა და ტექნოლოგიური პროცესების სპეციფიკის გათვალისწინებით, გარემოს არცერთ კომპონენტზე მნიშნელოვანი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი. ავტოსამრეცხაოს ჩამდინარე წყლების გაწმედნის მიზნით გამწმენდი დანადგარის მოწყობა გარემოსდაცვითი ღონისძიებაა და მინიმუმამდე ამცირებს ზღვის წყლის ხარისხზე ნეგატიური ზემოქმედების რისკებს.

სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური“-ს მიერ სიტემატურად მოხდება გამწმენდი დანადგარის ტექნიკური გამართულობის კონტროლი და გაწმენდილი ჩამდინარე წყლების ხარისხის მონიტორინგი. მონიტორინგის შედეგების მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, გატარებული იქნება შესაბამისი მაკორექტირებელი ღონისძიებები.

სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეტანხმებული იქნება ავტოსამრეცხაოს ექსპლუატაციის პროცესში ზედაპირულ წყლებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ მავნე ნვთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი.

8 დანართი N1: ავტოსამრეცხაოს გამწმენდი ნაგებობიდან მიღებული გაწმენდილი წყლის ლაბორატორიული კვლევის ოქმი

Gamma SCIENTIFIC RESEARCH FIRM

შპს სამეცნიერო კვლევითი ფირმა „გამა“-ს
საგამოცდო ლაბორატორია

TESTING LABORATORY
Of Ltd Scientific Research Firm "GAMMA"

GAC – TL – 0264
სსტ ისო/იეკ 17025:2017/2018
11.09.2019-30.07.2022

მისამართი Address
დ. გურამიშვილის გამზ. №17ა. 0192.
თბილისი საქართველო
D. Guramishvili ave. №17a. 0192.
Tbilisi. Georgia

995 32) 2604433; (995 32) 2601024
E-mail: gamma@gamma.ge

09.03.2022

ოქმი №165

დამკვეთი: შპს „გამა კონსალტინგი" კორპორაცია "ფოთის საზღვაო ნავსადგური"

ნიმუშის დასახელება: წყლის სინჯი: "ავტოსამრეცხაოს სეპარატორის წყალი"

ნიმუშის მიღების თარიღი: 01.03.2022

ლაბ.№ 217w

წყლის სინჯის ქიმიური ანალიზის შედეგები

სინჯის დასახელება	ერთეული	მიღებული მნიშვნელობა მგ/ლ	გამოყენებული მეთოდი
ნავთობის ჯამური ნახშირწყალბადები (TPH)	მგ/ლ	<0.05	ვალიდირებული მეთოდი GL-SOP Wch-73-G-19
შეწონილი ნაწილაკები (TSS)	მგ/ლ	14.2	სსტ ისო 11923:2007

შენიშვნა: 1. დაუშვებელია გამოცდის ოქმის ნაწილობრივი აღწარმოება ლაბორატორიის წერილობითი ნებართვის გარეშე.
2. შედეგები მიეკუთვნება მხოლოდ გამოცდილ ნიმუშს.
3. ნიმუში აღებულია დამკვეთის მიერ.

შპს სამეცნიერო კვლევითი ფირმა „გამა“-ს
საგამოცდო ლაბორატორიის ხელ-ლი: ჟ. გურჯია

SCIENTIFIC RESEARCH FIRM "GAMMA" LTD LABORATORY 211354041

გვ. 1 (1)